




ოლიმპიადის სახალა

მ ქ ლ ო ს ნ ო ბ ა

- 100 მეტრზე რბენა (ქალები)**
1. მ. ბაიანი (აშშ) — 11,9 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები)
 2. მ. შარალი (აშშ) — 11,1
 3. ი. პირუხაშვინი-შაპინსკა (ბოლონეთი) — 11,1
 4. რ. ბოილი (ავსტრალია) — 11,1
 5. მ. ბაიანი (აშშ) — 11,8
 6. მ. ბარჯი (ავსტრალია) — 11,4
- 800 მეტრზე რბენა (კაცები)**
1. რ. ლაშაი (ავსტრალია) — 1:44,8 (მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება და ახალი ოლიმპიური რეკორდი)
 2. პ. პირუხაშვინი (კენია) — 1:44,5
 3. მ. შარალი (აშშ) — 1:45,4
 4. მ. ბაიანი (ავსტრალია) — 1:45,8
 5. ი. პლახი (ჩეხოსლოვაკია) — 1:45,9
 6. მ. შარალი (ავსტრალია) — 1:46,2
- 400 მ თარჯნბენი**
1. მ. ბაიანი (ინგლისი) — 48,1 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები)
 2. მ. ბაიანი (ავსტრალია) — 49,0
 3. მ. შარალი (ინგლისი) — 49,0
 4. მ. ვანდერსტრამი (აშშ) — 49,0
 5. მ. ხომოსოვი (სსრ კავშირი) — 49,1 (სსრ კავშირის რეკორდი)
 6. რ. შინი (აშშ) — 49,2
- ბადროს ტყორცნა (კაცები)**
1. ი. ტრბერი (აშშ) — 64,78 (ახალი ოლიმპიური რეკორდი)
 2. ლ. შილდე (გერ) — 63,08
 3. მ. ლანკი (ჩეხოსლოვაკია) — 62,92
 4. მ. ლოვი (გერ) — 62,12
 5. მ. სილვესტრი (აშშ) — 61,78
 6. მ. პარლენი (აშშ) — 59,46
- 3 ე ლ ო ს ნ ო რ ტ ი**
- 100 მ სავსატაქვილო გუნდური რბოლა**
1. კოლანდია — 2:07.49,0
 2. შხვიანი — 2:09.26,6
 3. იტალია — 2:10.18,7
 4. ლანია — 2:12.41,4
 5. შხვიანი — 2:14.08,4
 6. ნორვეგია — 2:14.32,8
 10. სსრ კავშირი — 2:15.09,5.



მ. ბაიანი.



მ. ბაიანი.

● ხუთდღეული შეჯიბრება პირველ დღეს ხუთ საათს გაგრძელდა. შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ ორი პროტესტი განიხილა. ამ „საილუმო“ სხლომიდან, რომელიც ასევე ხუთ საათს გრძელდებოდა, მსაჯები დღ-ღობილ-დაქანცული გამოვიდნენ და გამოაცხადეს, რომ ყველა შედეგი... უძვილი და რა.

● ოლიმპიადის მონაწილეობა გადაწყვიტა მექსიკის ნუმიზმატიკოსთა საზოგადოებამაც, რომელმაც გამოსაშვებლად მოაწვია... ოქროს მედლები სერიაში. მედლების ღირებულება ძალიან მაღალია, მაგრამ საზოგადოებაში უკვე მექსიკის 4 ათასმა მცხოვრებმა შეიტანა განცხადება — სურთ შეიძინონ ეს უნიკალური სუვენირები.

● XIX ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა იაპონიაში იყიდა დიდი კიბე, რომელიც მორბენალთა შეჯიბრების ფინალში ემსახურება მსაჯებს. არბიტრები ამ კიბეზე მშვენივრად მოეწყვენ, მაგრამ შეჯიბრების პირველივე დღის შემდეგ უამრავი საჩივარი გამოვსახეს ტელემაჟორებლებმა: თურმე დროდადრო კიბე საორტსმენებსაც ფარავდა ეკრანზე. მშინ კიბე დაამოკლეს. ტელემაჟორებლები კმაყოფილები არიან, მაგრამ ხელა მსაჯები შევიწროვდნენ. თავის მხრივ, ისინი საყვედურებენ ტელევიზიის რეპორტიორებს, რომლებიც ზოგჯერ არასწორად აცხადებენ საორტსმენთა გვარებს და ხანდახან შედეგებსაც ურევენ.

● სამკერდე ნიშნების, ავტოგრაფებისა და სუვენირების ტრფილი რვა წლის ბიჭუნა უკვე მეოთხე დღეა ოლიმპიური სოფლის საავადმყოფოში წევს და ცივ უარს ამბობს შინ წასვლაზე. იგი სოფელში შეიპარა და მანქანა დაეცა. საბედნიეროდ, ტრავმა უმნიშვნელო აღმოჩნდა. ბიჭს სწრაფად დააყენეს ფეხზე. იგი არაფერს უმბეღს არც თავის სხეულს, არც გვარს და არც-მისამართს: თუ ვთქვით, შინ წამოვიყვანო და მე უკვე ვიღარასოდეს შემიძლია ოლიმპიურ სოფელში.

● ოლიმპიური სოფლის ქალთა ბინების რკინის ღობე ჯერ ვერც ერთმა კორესპონდენტმა მამაკაცი ვერ გადალახა. მოუსყიდველ დარაჯთა რაზმი ფიზიკურად იცავს საერთო საცხოვრებლის შესასვლელს. იქ შესვლა კი ბევრ რეპორტიორს სურს. უზრუნველყოფის ათასგვარ ხერხს მიმართავენ. როგორც გავითი „უტლიმას ნოტისიასი“ წერს, იყო შემთხვევები, როცა უზრუნველყოფის დავალებით საერთო საცხოვრებელში ზარემ ქალები შევიდნენ. და მათს, რეპორტაჟი ქალთა საერთო საცხოვრებლიდან დღემდე არსად დაბეჭდილა.



იწყება სარეზერვურო გარათონი

სვალ თბილისში სტარტი მიეცემა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა მმ-ე ჩემპიონატს. ჩოგნის გამოცდილ ოსტატთა და ახალგაზრდა სპორტსმენთა წლიურადი დათვალიერება ემთხვევა საბჭოთა ჩოგბურთის საერთაშორისო სარბიულზე გასვლის 10 წლისთავს. ამ მნიშვნელოვანმა ნაბიჯმა სამაშულო ჩოგბურთის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა.

გადავხედოთ განვილოდ გზას. 1958 წელს საბჭოთა ჩოგბურთის დეპიუტი უიმბლდონის ტურნირში 2 სპორტსმენის მონაწილეობით გამოიხატა. ესენი იყვნენ ა. დობრიცა და ა. პოტანინი. მათს ანამ პირველობა მოიპოვა ბენედიქტის გოგონათა ტურნირში, რომელიც უი-იმბლდონამდე გაიმართა, ხოლო უი-იმბლდონში (აქაც გოგონებს შორის) II პრიზი მოიპოვა. ხუთ სხვა შედეგით დამთავრდა პოტანინის დეპიუტი. იგი შესამჩნევად ჩამორჩებოდა უცხოელ ოსტატებს და შედეგით უმნიშვნელო ჰქონდა. გვარწმუნებდნენ, ჩოგბურთში სსრ კავშირის სპორტსმენთა დაწინაურებისთვის — სულ ცოტა, 20-25 წელი იქნება საჭირო. ამასთან გვიჩვენებენ მწვრთნელებად მოგვეყვია უცხოელი სპეციალისტები.

ჩვენ ამ პროგნოზებს არ დავუჭერთ და არც ამ რეკომენდაციებით ვისარგებლეთ. ერთი სიტყვით, გვწამდა საკუთარი ძალებისა. ვარაუდი გავიმართლდა. არც ისე დიდი ხანი დაგვირდა თანამედროვე სტილის ჩოგბურთელთა ერთი ჩვეულებრივი მოწოდებისთვის. და აი, ბოლო წლებში „კორტების პრემიერთა“ სახელები მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — ა. მეტრეველმა, თ. ლიუხმა, ლ. ლიხაროვმა, ვ. კორტკოვმა, ვ. ეგოროვმა, თ. კაკულიამ, ა. ევანოვმა, ა. ვოლოკოვმა, გ. ბაქშევამ, ო. მოროზოვმა...

ეს მოთამაშეები (გამონაკლისია მხოლოდ ა. მეტრეველი) შეიძლება ჯერ კიდევ არ მიეკუთვნებოდნენ იმ ექსტრა-კლასის სპორტსმენებს, რომლებსაც თანამედროვე საერთაშორისო ჩოგბურთის მწვრთნელები რომ უპყრიათ, მაგრამ ამ მწვერვალებიდან არც ისე შორს დგანან. საბჭოთა ჩოგბურთელთა უკვე რამდენჯერმე შეძლეს I ადგილების მოპოვება და ტოლი არ დაუდეს მაღალი რანგის ბევრ უცხოელ ჩოგბურთელს. მათ არა ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს დევისის, გალეას და სუაბოს თა-

სების გათამაშებებში.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ჩოგბურთის კანონიერ სიამაყეს წარმოადგენს ა. მეტრეველი. ეს განა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტრეველს არა ერთი ნადავლი აქვს მოპოვებული დიდ შეჯიბრებებში. უბრალოდ, თუნდაც იმიტომაც, რომ იგი ახარად მოაზროვნე, სასიამოვნო ახალგაზრდაა. მეტრეველის ტექნიკური გონება მახვილია და ლამაზი თამაში თავისებური ანარქულია იმ პროგრესისა, რომელიც კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აგრეთვე დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანების ახალი თაობისთვის.

მას შემდეგ, რაც ო. მოროზოვსა და ა. მეტრეველს შერეულმა წყვილმა უიმბლდონის წლიურადი ტურნირის ფინალში გასვლა შეძლო, ჩოგბურთის ბევრმა ცნობილმა სპეციალისტმა აღიარა, რომ მათი პროგნოზები მცდარი იყო. საბჭოთა ჩოგბურთელთა და მათმა მწვრთნელებმა 10 წელიწადში, შედარებით მოკლე ხანში, ამ ტექნიკურად და ფსიქოლოგიურად მაღალი რთულ სპორტის სახეობაში ჯერ არანაშულო პროგრესს მიაღწიეს.

ახლა კი დაგვბრუნდეთ წლიურადი საკავშირო ჩემპიონატს, რომელიც თბილისში „დინამოს“ კორტებზე ჩატარდება. თავდაპირველად გაიმართება გუნდური ასპარეზობა, სადაც პირველობისთვის იბრძობავენ სსრ კავშირის 8 ნაერბი კოლექტივი. ესენი არიან „დინამო“, „სპარტაკი“, შეიარაღებული ძალების ნაერბი, „ბურევესტნიკი“, „ტრუდო“, „ლოკომოტივი“, „ავანგარდი“ და „განთიადი“. თუ ითვლით გუნდის დირსებას დაცვას 15 მოთამაშე, აქედან 5 ვაჟი და 2 ქალი (მათ შორის 2 ქაბუკი და 2 ქალიშვილი). გუნდური პირველობის ფინალი მოეწყობა 23 ოქტომბერს.

ამის შემდეგ დაიწყება პირადი პირველობა, რომელშიც ჩაებმება 22 ქალი და 48 ვაჟი. 8 ნოემბერს ცნობილი გახდება სსრ კავშირის ახალი ჩემპიონთა, აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა.

შეგინებავთ, რომ არც გუნდური და არც პირადი ასპარეზობაში მონაწილეობას არ მიიღებენ ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელები უ. რანსონე („დაუგავა“); ვ. კორტკოვი (შეიარაღებული ძალები), თ.

კაკულია („ბურევესტნიკი“) და ა. ვოლოკოვი („სპარტაკი“). მიზნებს ქვემოთ მოგახსენებთ.

სპორტული სტატისტიკა მოწმობს, რომ მსოფლიოში 20 მილიონზე მეტი ჩოგბურთელია. ეს ნიშნავს, რომ ჩოგბურთი № 3 სპორტია თავისი მასობრიობით. მაგრამ რაოდენ დიდ პარალელსაც უნდა მოგვჩვენოთ, ეს მეტად პოპულარული თამაში აგრც 41 წელია ოლიმპიადების პროგრამაში არ არის.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაცია ამ სახეობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია (1956 წლიდან), ჩვენი წარმომადგენლები ენერგიულად იბრძვიან, რათა ჩოგბურთი კვლავ შეიტანონ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

საერთაშორისო ორგანიზაციაში ამ საკითხის დაყენების შემდეგ მრავალი ქვეყნის ფედერაციებმა დაგვიჭირეს მხარი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონსერვატიულმა უმრავლესობამ ვედარ უარყო სამართლიანი მოთხოვნა და განაცხადა, რომ უერთდება ოლიმპიური პროგრამის მხარეს. მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო. სინამდვილეში ფედერაციას არ უზრუნია იმისთვის, რომ ჩოგბურთი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეეტანათ. სამაგიეროდ, მან სწრაფად მისცა დასტური ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციას ვ. წ. როუნი-ტურნირების“ ჩატარების თობაზე. სწორედ ამგვარი ტურნირები უღებენ კარს პროფესიონალებს მსყვარულთა ჩოგბურთში. ამან ახალი დაბრკოლება შექმნა ჩოგბურთის „ოლიმპიური“ პრობლემის გადაწყვეტაში.

და მაინც, როგორც ცნობილია, მეხიკოს ოლიმპიური თამაშები ჩოგბურთის გარეშე არ ტარდება. ოლიმპიადის მასპინძლებისა და ოლიმპიური მოღვაწის, ამჟამად საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, დოქტორ დე სტეფანოს (იტალია) მხარდაჭერით ოლიმპიადის დღეებში ჯერ ქალაქ გვადალახარში, შემდეგ კი მეხიკოში გაიმართება ჩოგბურთის საჩვენებელი გამოხსვლები. შეიძლება ამ დონისძიების მეშვეობით ჩოგბურთმა ოლიმპიური თამაშების გზა გაიკაფოს და ოცნება მომავალ, 1972 წლის თამაშების დროს ახდეს.

სწორედ ამიტომ მიიღო კმაყოფილებით მექსიკელთა მიმართება სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედ-

რაციამ, სწორედ ამიტომ არ იქნება საბჭოთა ჩოგბურთის ოთხი იმედი თბილისში.

თბილისის ჩემპიონატში ვის აქვს გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი? ყველაზე მაღალ საფეხურს ალბათ „დინამოს“ კოლექტივი დაიკავებს. ომისშემდგომ წლებში დინამოელები გუნდურ პირველობას ტრადიციულად არაფერს უწებდნენ. მათი მთავარი მეტოქეები იქნებოდა შეიარაღებული ძალების ჩოგბურთელები. შემდეგი ადგილის პირველენდები არიან „ბურევესტნიკი“, „ტრუდო“ და „სპარტაკი“.

ვაჟთა ერთეულებში № 1 ფავორიტად ა. მეტრეველი მიაჩნიათ, თუმცა, ახლა მისი ძალის შეფასება ხელაღებით არ შეიძლება, რადგან მძიმე ტრავმების გამო არ ბოლოვორ თვეს სათანადოდ არ უვარჯიშია და არც რაიმე შეჯიბრებაში გამოსვლა.

სსრ კავშირის სამეზის ჩემპიონთ. ლიუხს, რომელმაც ახლანან მსოფლიოს საერთაშორისო ტურნირი და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიგო, ძალიან ეუბნებოდა „ექს-ჩემპიონის“ სახელი; რაც მას აგრც სამი წელიწადია არ სცილდება. ლიუხის შეეცდება როგორმე ჩამოიმოხროს ეს უსიამოვნო „ექსი“.

ქვეყნის მეორე ჩოგანს ვ. ეგოროვსა და ვაჟთა წყვილებში საუკეთესო სპორტსმენს ლ. ლიხაროვს ჯერ არასოდეს რგებიათ ოქროს დიდი მედალი, რომლითაც ერთეულებში გამარჯვებული ჯილდოვდება. ეგვი არ არის, ისინიც შეეცდებიან ჯილდოს მოპოვებას. ბევრს ველოთ სსრ კავშირის ხელბთა IV სპარტაკიანის „ბრინჯაოს“ პრინციპისგან — დენინგარადელი ა. ევანოვისგან.

მძიმე ტრავმა მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონმა გ. ბაქშევამაც. მას დიდხანს არ უვარჯიშია და არც შეჯიბრებებში გამოსვლა. საშინო მეტოქეები ბაქშევამსაც საკმაო რაოდენობით შევს. ესენი არიან: ა. ივანოვა — 1968 წლის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი, „დინამოს“ ახალი ჩემპიონთა ტ. კივი, რომელმაც დინამოელები ასპარეზობაში დაამარცხა ო. მოროზოვა, გამოცდილი ჩოგბურთელები რ. ბენდარევი და ტ. სიმსონი, იუნორები ა. ერენევი და რ. ინლანოვა, ჯერ კიდევ მოზარდები ე. იზობატიცი და ლ. კარპოვა ერთი სიტყვით, წინაა დიდი ჩოგბურთის ორი კვარი.

3. კოლმაროვსკი, სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდიანი.

მ ქ ლ ო ს ნ ო ბ ა
მსუბუქი წონა

1. მ. ბაშანდანი (ბოლონეთი) — 437,5 (135+135+167,5 — ახალი ოლიმპიური რეკორდი)
2. მ. ჯალაღარი (ირანი) — 422,5 (125+132,5+165)
3. მ. ზაინი (ბოლონეთი) — 420 (135+125+160)
4. მ. ხატბა (იაპონია) — 417,5
5. ჩინ ხი ვონი (სამხრეთ კორეა) — 415
6. ი. ბაბოჩი (უნგრეთი) — 412,5.

რა სანეობებში
გამოვლინდებიან
ჩემპიონები

დ ღ ე ს

მქალთა წონა. ქალები. სიმაღლეზე სტომა; ვაჟები. სპორტში. უროს ტყორცნა, 110 მ თარჯნბენი, 5000 მეტრზე რბენა, 50 კმ სპორტული სიარული.

პელოსპორტი (ტრეკი). 1 კმ რბოლა.

ტურბა. ქალები. კომბინირებული ესტაფეტა 4x100 მ; ვაჟები. ესტაფეტა 4x100 მ თავისუფალი სტილით.

თანამედროვე ხუთბიძი. ტურნირის დამთავრება.

ქალთა წონა. საშუალო წონა.

ფარინაობა. ვაჟები. დაშნა, პირადი პირველობა.

ხ ვ ა ლ

მქალთა წონა. ქალები. 200 მ რბენა, ბადროს ტყორცნა, 80 მ თარჯნბენი. ვაჟები. 400 მ რბენა. სივრდე.

პელოსპორტი (ტრეკი). 4 კმ გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა.

წყალში ხტობა. ქალები. ტრამპლინი.

ტყვიის სროლა. ნებისმიერი პისტოლეტით 60 ვასროლა.

ქალთა წონა. ქვემომე წონა.

ოლიმპიკადა ლუგანოში

დღეს შვეიცარიის საკურორტო ქალაქ ლუგანოში საზეიმოდ აღი-მართება XVIII საუკუნის ოლიმპიკადის აღმადგენელი სასპარტოლო ჩა-სული არიან 56 ქვეყნის მოჭადრა-კეთა გუნდები.

ეს ტურნირი, რომელიც ორ წე-ლიწადში ერთხელ ტარდება ფი-დე-ს თაოსნობით, ტრადიციულ იქ-ცა. ტრადიციული გახდა თვითუე-ლი გუნდის შემადგენლობაც: ოთხი ძირითადი და ორი სათადა-რიგო მოთამაშე. გამარჯვებულ გუნდს აჯილდოებენ გამორჩეული ინგლისელი საჭადრაკო მოღვაწის მამულტონ-რასელის გარდაამავალი თასით, ხოლო გუნდის წევრებს — ოქროს მედლებით. მეორე და მესა-მე ადგილებზე გამოსულნი შესა-ბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს ღებულობენ.

„ერთა ტურნირი“ (ახე ერქვა ადრე საჭადრაკო ოლიმპიადას) ყოველთვის დიდი ინტერესით სა-რგებლობდა. ამ შეჯიბრებებ-ში მუდამ მონაწილეობდნენ მსო-ფლიო ჩემპიონები ნ. კაპაბლანკა (კუბა), ა. ალიოხინი, მ. ეიფე (ბოლ-აღია) და სხვა სახელგანთქმული დიდოსტატები. ლუგანოში ახლაც შეხვედებით ჭადრაკის ბრწყინვალე ხელოვანთ. მათი მომავალი ბრძო-ლა ქომავთა დიდ მღელვარებას იწვევს.

პატარა ლუგანო საგულდაგუ-ლოდ მოემზადა სახელოვანი სტუ-მრების მისაღებად. ქალაქის თავკე-ცებმა მონღომება და ზრუნვა არ დაიშურეს ოლიმპიადის სანიშნუ-ლოდ ჩატარებისთვის. შეჯიბრების თვის ყველაზე დიდი დარბაზი გა-მოყვანეს. გემოვნებით გაკეთებულმა რეკლამამ ლუგანო საჭადრაკო მე-

ქალ აქცია. მასპინძლებმა ფილატე-ლიის მოყვარულთა სასიხარულოდ ოლიმპიადისადმი მიძღვნილი სა-ფოსტო ნიშნებიც გამოუშვეს. ტუ-რნირის დღეებში დაისტამბება სა-განგებო ბიულეტენები გათამაშე-ბული პარტიებით.

ლუგანო გულშემატკივართვ მი-საღებადაც მოემზადა. მასპინძლები საბჭოთა ტურისტებსაც ელიან.

ახლა შვეიცარიის პრესა ბევრს წერს როგორც მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე, ისე მოჭა-დრაკეთა ოლიმპიადებზე.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპია-დაში მონაწილე ქვეყნების რიცხვი სარეკორდოა — 56. წლე-ულს ლუგანოში 836 დიდოსტატი და ოსტატი ჩავიდა. მათ შორის 224 მოჭადრაკე სხვადასხვა გუნ-დის ძირითადი წევრია. გაზეთები წერენ, რომ ოლიმპიადის ემსხა და ლაზოს მატებს მსოფლიო ჩემპიონ-ის ტ. პეტროსიანისა და მისი მო-მავალი მეტოქის ბ. სპასკის მონა-წილეობა.

მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო ოლიმპიადა ორ საფეხურად ჩატარდება: მოთამაშენი 6 ან 8 ნა-ხევარფინალად დაიყოფიან, ხოლო შემდეგ გამარჯვებულნი დაკავებუ-ლი ადგილების მიხედვით შეადგე-ნენ ფინალურ და საქლასიფიკაციო ტურნირებს.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ფაგორიტებზე იწერება. ყურადღე-ბის ცენტრშია „ოქროს გუნდი“, როგორც ჩვენი ქვეყნის გუნდს უწოდებენ. მართლაც, X ოლიმპია-დიდან (1952 წ.) სსრ კავშირის მო-ჭადრაკეთა კოლექტივი უცვლელი ოლიმპიური ჩემპიონია. ჭადრაკის მემკვიდრეთა ალბათ არასოდეს და-

ავიწყდება ჩვენი მოჭადრაკეების შთაბეჭედავი გამარჯვება ოლიმპი-აში, XVI ოლიმპიადაში, ხალაც მათ ყველა (20) მატჩი მოიგეს და 80 პარტიდან მხოლოდ ორი წააგეს! სხვადასხვა დროს ჩვენს გუნდში უთამაშია ყველა გამორჩეულ საბ-ჭოთა დიდოსტატი.

ჩვენების მთავარ მეტოქეებად ასახელებენ აშშ-ის, იუგოსლავიის, გერ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგა-რეთისა და რუმინეთის გუნდებს.

X ოლიმპიადამდე, სანამ ამ ტუ-რნირებში სსრ კავშირის გუნდი ჩაებმებოდა, ოთხჯერ აშშ-ს მო-ჭადრაკეებმა გაიმარჯვეს. შემდგომ ამერიკელებმა პოზიციები დათმეს. ახლა მათ ძლიერი გუნდი მყავთ (ფიშერი, რეშეცკი, ევანსი, რ. ბი-რნი, ბენკო, ლომბარდი) და იმე-დიც მიეცათ.

ლუგანოში გამგზავრების წინ სპასკიმ და კორჩნოიმ კორესპონ-დენტებთან საუბარში განაცხადეს, რომ იოლად არასოდეს გავეიმარჯ-ვით. ადრე მთავარ მეტოქეებად მუდამ ამერიკელები და იუგოსლავი-ელები გვეყავა. ამიტომ ახლაც მზად ვართ — ძნელი და უშედეგო თამაშისთვის.

იუგოსლავიელთა გუნდმა პირვე-ლობა IX ოლიმპიადაში დაისაყუ-



თარა. შემდეგ ისინი უმეტესად ვე-რცხლის მედლებს სჯერდებიან, თუმცა მამულტონ-რასელის ოქ-როს თასისთვის ბრძოლაზე ხელი არასოდეს აუღიათ. იუგოსლავიე-ლთა გუნდი ამჯერადაც დიდოსტა-ტებისგან შედგება.

საბჭოთა მოჭადრაკეების მეტო-ქედ კიდევ გერ-ის ნაკრები შეიძ-ლება მივიჩნიოთ. მის ძირითად ბირთვის უძლიერესი დიდოსტატები (უნციკერი, შმიდი) შეადგენენ.

როგორც ლუგანოდან იტყობინე-ბიან, ოლიმპიადის მთავარმა არ-ბიტრმა, ავსტრიელმა დორაბელმა ფედე-ს პრეზიდენტმა და ლუგანო-ში ამჟამად მომუშავე მ-ე კონგ-რესს განუცხადა, რომ ოლიმპია-დის მასპინძლები მზად არიან ხა-ათების ჩასართავად.

XVIII ოლიმპიადა 8 ნოემბრამდე გაგრძელდება. **თ. ნინოშვილი.**

ჩვენ გუნდი

XVIII-საჭადრაკო ოლიმპიადაში სსრ კავშირის გუნდი გამოვა შემ-დეგი შემადგენლობით: ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, ე. გელე-რო, ლ. პოლუგაევსკი და ვ. სმისლოვი (თამაშობს მ. ტალის მაგიერ, რო-მელიც ავად გახდა).

გუნდის მწვრთნელები არიან დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი და სა-ერთაშორისო ოსტატი ა. კონსტანტინოვსკი.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელია სსრ კავშირის ჭადრაკის ფედე-რაციის პრეზიდენტის თავმჯდომარე ა. სეროვი.

პროგნოზები, გამოკვლევები, ძივანი

9. უკანასკნელი დღეები...

მიხედა და ადრეც დაავადყოფდა. სიცოცხლის ბოლო წელს ხელის დამბლა დაემართა და ენაც წაე-რთა.

1910 წლის 13 ივნისს 60 წლის ანდრია კიევში გარდაიცვალა. ეს უმაღლეს აცნობებს ზუგდიდში სალო-მე დადიან-მიურატისას, რომელმაც უმცროს ძმას დიდი ჰიროსუფლობა გაუწია.

სამძიმრის წერილში ნესტორ ერისთავი კიეიდან სალომეს წე-რდა:

„თქვენი აწ განსვენებული ძმა ანდრია იყო ჩემი დიდად საყვარე-ლი ნათესავი, რომლისთვისაც სამ-სახური, უკანასკნელი პატივისცემა შეადგინდა ჩემს წმინდა მოვალეო-ბას, რისთვისაც თავი არ დამიწო-

გავს, რომ მას ქონებოდა ღირსეუ-ლი ვახვენება. რაც შეეხება მის ავადმყოფობის დროს მოვლას, და-რწმუნდით, ძვირფასო პრინცესა, რომ არავითარი საშუალება მოვ-ლით, წამლობით მას არ მოკლებია, რამდენიმე პროფესორი თავს აღ-გინდ დღე-ღამე, მაგრამ საუბედუ-როდ ამათ იქნა ყველაფერი“.

„ანდრია გარდაიცვალა ღამე მო-სამსახურების ხელში, როგორც კი ეს სამწუხარო ამბავი მაცნო-ბეს, მაშინვე პოლიცია მოვიწვიე და დავაბეჭდინე ყოველივე მისი ავტოგრაფი“; — წერს ერისთავი მეორე წერილში.

16 ივნისს დადიანის ცხედარი კი-ევვიდან ზუგდიდს წამოახვედნეს. ეს სამძიმო საქმე ქართველმა სტუდენტმა ამბერკი საყვარელიმ იღო თავს. 23 ივნისს დილით ანდ-რია ზუგდიდს ჩამოახვედნეს.

სალომემ დიდი პატივით დაკრძა-ლა ძმა. ნ. ერისთავისადმი მადლო-ბის წერილში იგი წერდა: „ჩემი ძმა ანდრია განისვენებს თავისი მშობლებისა და წინაპრების გვე-რდით“. აქედან ირკვევა, რომ ან-დრია დადიანი სოფელ გორდში მარტვილის საგვარეულო მონასტე-რშია დასაფლავებული.

იმავდ ნ. ერისთავის ხელშეწყო-ბით ანდრიას პირადი ნივთები, ხე-ლნაწერები, მდიდარი ბიბლიოთეკა, ჭადრაკი, ავეჯი და მეფრის სხვა რამ ზუგდიდს ჩამოიტანეს. ყოველივე ეს დღეს მუზეუმშია დაცული.

დასასრულს დიდი მადლობა უნ-და მოვასხენო ზუგდიდის მუზეუ-მის ხელნაწერთა ფონდის ხელმძღ-ვანელს ელენე ცხაკაიას დახმარე-ბისთვის, რომელმაც მან ა. დადიან-ის არქივზე მუშაობისას გამიწია.

თ. ბიორგაძე.

ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით

ცხოვრების ბოლო ოცი წელი ანდრია დადიანმა უმთავრესად კი-ევში გაატარა. ერისთავის ოჯახშიც ცხოვრობდა, ხშირად იყო ევროპის ქალაქებში და აგარაკებზე. და-დიანს საპატიო ხელმძღვანელად იწვევენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, ზოგჯერ თავადაც თა-მამობს. მაგალითად, ზუგდიდის მუზეუმში ინახება საგანგებო დი-მლოში, რომელიც ანდრიას 1908 წელს მიუღია მილანში. 1898 წელს მან მამული გაყიდა ხოფელ აბას-თუმანში, ზუგდიდის მახლობლად და სამუდამოდ დასახლდა კიევში. მაგრამ საქართველო არასოდეს და-ვიწყებია.

ანდრია დადიანის მარტოხელა კა-ცი იყო. როგორც ჩანს, თავს ვერ



ანდრია დადიანის უკანასკნელი სურათი, რომელზეც იგი რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის საპარადო ფორმაშია აღბეჭდილი. სურათი ქვეყნდება პირველად.

ნ. ბ. სომოვი



გარდაიცვალა თბილისის „ლი-ნამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ძველი პლეადის წარ-მომადგენელი ნიკოლოზ გრიგო-ლის ძე სომოვი.

მედიწვევა, რომელიც მას ექვთვის, არასოდეს წაიშლუ-ბა — ნიკოლოზ სომოვი გან-ლდათ დინამოელთა პირველი გოლის ავტორი უმაღლესი ლი-გის სკავეშიორ — ჩემპიონატებში. ეს მოხდა თბილისში, 1936 წლის 7 სექტემბერს 17 საათ-სა და 47 წუთზე კიეველ თანა-ნაკლებლებთან მატჩში...

ნ. სომოვი დაიბადა 1910 წელს თბილისში, ტრამვაელის ოჯახში. საშუალო სკოლის და-მთავრების შემდეგ იგი 1926 წელს შევიდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტექნი-კუმში, რომელიც დაამთავრა 1930 წელს. იმავე წელს ჩაირი-ცხა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინს-ტიტუტის სამშენებლო ფაკულ-ტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

ინსტიტუტის დამთავრების-თანავე მან დაიწყო მუშაობა სხვადასხვა წარმოება-დაწესე-ბულებაში, ამიერკავკასიის რკი-ნიგზზე და ა. შ. იმავე პერი-ოდში ახალგაზრდა სპეცია-ლისტს მუშაობა მოუხდა თბი-ლისის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობაზეც.

ნ. სომოვი გახლდათ სკკპ წე-რი, სამაშულო ომის მონაწი-ლე, დაჯილდოებული იყო ორ-დენიებითა და მედლებით.

ფეხბურთის ძველ მოყვარუ-ლებს კარგად ახსოვთ თბილი-სის „დინამოს“ სწრაფი, ტიქ-ნიკური და კორექტული მარე-ხენი გარემარბი ნიკოლოზ სო-მოვი, რომელიც მშობლიურ კო-ლექტივში თამაშობდა 1939 წლამდე.

ნ. სომოვის მეგობრებს, ნაე-ნობებს, სპორტის მოყვარუ-ლებს, დიდხანს ესლოებით ეს-კეთილი, პატიოსანი მოჭალკე და სპორტსმენი, შესანიშნა-ვი ფეხბურთელი.

ახანახავის ჯგუფი.

მეხიკოს კონგრესი

მეხიკო, 15 ოქტომბერი. მოყ-ვარულ მძლეოსანთა საერთაშორის-ო ფედერაციამ მსოფლიოს 12 რე-კორდი დაამტკიცა.

ძალოსნობის საერთაშორისო ფე-დერაციამ გადაწყვიტა კიდევ ორი წლითი კატეგორია შექმნას: უმჩა-ტისა (52 კგ-მდე) და მეორე მძიმე (90-110 კგ). ფედერაციის პრეზი-დენტად კვლავ ირჩიეს კ. ჯონ-სონი (აშშ). სტუდიან ერთ-ერთ ვიცი-პრეზიდენტად არჩეულია წარ-სულში ცნობილი საბჭოთა ძალოსა-ნი ა. მედვედევი.

ვილაობის საერთაშორისო ფედე-რაციის პრეზიდენტად კვლავ ირ-ჩიეს ფრანგი რ. კულონი. ამავე ფე-დერაციის კონგრესზე გადაწყდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკი-სებები. 1969 წლიდან შემოღებულია ახალი წლითი კატეგორიები: ყვე-ლაზე მსაბუ (48 კგ-მდე) და შემ-იმი.

1969 წლის მსოფლიო პირველო-ბა გამართება არგენტინაში, ვე-როპის პირველობები კი ბულგარე-თსა (თავისუფალი ჰიდაობა) და იტალიაში (კლასიკური ჰიდაობა). გადაწყდა, რომ 1970 წლის მსოფ-ლიო პირველობა ჰიდაობის ორივე სახეობაში კანადაში მოეწყოს.

საფეხბურთის, რომ მსოფლიოსა და კონტინენტების ჩემპიონატების ჩატარებაში პრიორიტეტი ეძლევა ქვეყანას, რომელიც უზრუნველ-

ყოფს თანაბარ პირობებს ყველა მონაწილისთვის (ვიზეტი, პინების შესრულება, დროშების აღმართვა).

ჰიდაობის საერთაშორისო ფე-დერაციამ გადაწყვიტა შემდეგ კონ-გრესზე, 1970 წელს შეისწავლოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სპორტსმენთა რასობრივი დისკრი-მინაციის საკითხი და კომისიის მოხ-სენების შემდეგ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის ფედერაციის მიერ მომზადებული პროექტით დამტ-კიცდა ჰიდაობა სამბოს საერთაშო-რისო წესები.

ფარიაკობის საერთაშორისო ფე-დერაციის კონგრესმა გამოაცხადა, რომ უძლიერეს „მუშეკეტრთა“ მო-მავალი მსოფლიო ჩემპიონატი გა-იმართება 1969 წელს კუბაში.

გადაწყდა, რომ ოლიმპიური კონ-გრესი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტების წევრთა, ერთვლელი ოლიმპიური კომიტეტებისა და სა-ერთაშორისო ფედერაციების წარ-მომადგენლების მონაწილეობით გა-იმართოს სოფიაში 1971 წელს.

ამერიკიდან საერთაშორისო და ერთვლელი კომიტეტების წარმომე-დგენლები შეიკრებიან საერთა-შორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოველი მორიგი სესიის წინ. უახ-ლოვსა ასეთი შეხვედრა გაიმართე-ბა ვაიხად აპრილში, ლოსანჯისში.


რედაქტორის მოადგილე

ზ. ჯაფარიძე.

სურათლევა

დღეს და ხვალ (18 ოქტომ-ბერს), დღის 12 საათზე საქარ-თველოს საჭადრაკო კლუბში (რუსთაველის გამზირი № 48) მოწვეულია ფიჭულტურის მუ-შეთა რესპუბლიკური თათ-ბირი.

საპარტიველოს სპორტ-ბაზურში.



ფეხბურთი. „დინამოს“ სტა-დიონი. სსრ კავშირის პირვე-ლობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამოს“ (თბილისი) — „დინა-მოს“ (მინსკი). 17 ოქტომბერი. სათადარიგო შემადგენლობანი. 18 ოქტომბერი. ძირითადი შე-მადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. 30 წ.